პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 16 (19458) ◆ კვირა, 19 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწყარმოებს მიმდინარე წლის 22 და 23 იანვარს დილის 9 საათიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში.

ტელეფონი: 93-73-47.

რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები

ბარტიის საყრილობო საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დამთავრებელ ფაზაში შედის. ანგარიშგება-არჩევნები უკვე გაიმართა პირველად, რაიონულ და საქალაქო პარტიულ ორგანიზაციებში, მეტ წილ სამხარეო და საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში. დაიწყო მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები.

ახლანდელი ანგარიშგება-არჩევნები გახდა დიდი პოლიტიკური მოვლენა პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში, სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი. ისინი გამოირჩევიან საქმიანობით, ანალიზის სიმწვავითა და მომთხოვნელობით, კომუნისტთა დიდი აქტიურობით. პარტიის მარტო ძირეულ რგოლებში გამართულ კრებებსა და კონფერენციებზე გამოვიდა 11,5 მილიონი კაცი და გამოთქვა სამ მილიონზე მეტი კონკრეტული შენიშვნა და წინადადება. საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების მითითებათა შესაბამისად, მკაფიოდ ასახავს იმ პოზიტიურ პროცესებს, რომლებიც ახლა ხდება პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. კომუნისტები ყველგან სავსებით იწონებენ, მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს, რომელიც თანამიმდევრულად ხორციელდება.

გაცხოველებითა და დაინტერესებთ იხილავენ ანგარიშგება-არჩევნების დროს ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი რედაქციის, შემოთავაზებული ცვლილებებითურთ პარტიის წესდების, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტებს. აძლევენ რა ამ დოკუმენტებს მაღალ შეფასებას, კომუნისტები მათს განხილვას მჭიდროდ უკავშირებენ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას.

ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიაში უკვე შეძენილი მდიდარი გამოცდილება სრულად უნდა გავითვალისწინოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობების გამართვის დროსაც. ლენინური პარტიის ყველა რაზმისათვის ორგანულად დამახასიათებელი დიდი პასუხისმგებლობა საქმის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერებისა და კეთილდღეობის ზრდისათვის, ყველა მისი ერისა, და ეროვნების ერთიანობისა და შეკავშირებისათვის — აი ის მთავარი, რამაც უნდა განსაზღვროს რესპუბლიკურ პარტიულ ფორუმებზე ხაკითხთა განხილვის სულისკვეთება და მიმართულება.

საანგარიშო პერიოდის შედეგების გაანალიზებისას, რესპუბლიკური ყრილობების დელეგატებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ იმას, თუ როგორ წყდებოდა პრაქტიკულად ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ადამიანთა ცხოვრებისა და შრომის საკვანძო პრობლემები. ამავე დროს არ უნდა გამოთქვას, როგორც ეს არცთუ იშვიათად ყოფილა, ფუჭი ქება-დიდება და კომპლიმენტები, არ უნდა შეეცადონ ზოგადი სიტყვებით მიჩქმალონ საქმის არსი, ესა თუ ის ხარვეზები გადააბრალონ ობიექტურ გარემოებებს, უწყებრივ შეუთანხმებლობას. ბოლშევიკური ტრადიციაა თავს არ ვარიდებდეთ კრიტიკას, გაბედულად ვუწოდებდეთ საგნებს თავიანთ სახელებს. ეს არის ამპარტაჭნობისა და თვითდამშვიდების საამედო წამალი, იმის უტყუარი საშუალება, რომ ერთსულოვან შემოქმედებითს ვითარებაში მივდიოდეთ ახალი წარმატებებისა და მიღწევებისაკენ.

დღეს განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მივაპყროთ ორგანიზაციურული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომ სრულყოფას, კადრების ფსიქოლოგიურ გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, დაკისრებული საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის გაძლიერებას. სიმტკიცე და თავდადება ახლისათვის ბრძოლაში, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, უშიშარი უარყოფა ყოველგვარი დრომოჭმულისა, ახროვნების ინერციისა — აი დროის მიერ წამოყენებულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის გზა.

როგორც ცნობილია, ძირითად მიმართულებათა პროექტში თვალსაჩინო ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოო ძალების განლაგებისა და მეურნეობის განვითარების საკითხებს. გათვალისწინებულია დაეხვეწოთ საზოგადოებრივი წარმოების ტერიტორიული სტრუქტურა, უზრუნველყოთ თითოეულ რესპუბლიკასა და თითოეულ ეკონომიკურ რაიონში ეკონომიკური და სოციალური განვითარების რაციონალური შეხამება, გავაუმჯობესოთ მათი ურთიერთმოქმედება ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. მშენებლობის, მრეწველობის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების, აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების, სოციალურ გარდაქმნათა ვრცელი პროგრამა უნდა განხორციელდეს უკრაინასა და ბელორუსიაში, აზერბაიჯანსა და მოლდავეთში, შუა აზიის, ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. ამ მასშტაბური ამოცანების შესრულების ღონისძიებების განსაზღვრისას ყრილობათა დელეგატებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ სამეურნეო მექანიზმის, მართვის მთელი სისტემის სრულყოფას, არსებული ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას, როგორც უწყებრივი, ასე კუთხური ტენდენციების დაძლევას.

უზრუნველყო თანამედროვე პირობებში წარმატება — ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა სრულად აამოქმედო მთავარი, არსებითად ამოუწურავი რეზერვი, რომელსაც შეიცავს ადამიანის ფაქტორი, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, ყველა დონეზე დიდი ორგანიზებულობის, დისციპლინისა და წესრიგის დამყარება. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ზრუნვას მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ხარისხისა და ქმედითობისათვის. ყრილობებზე უნდა გამოვიმუშაოთ მყარი, კონკრეტული ღონისძიებებით განმტკიცებული კურსი, რომლის მიზანი იქნება ის, რომ ადამიანებისადმი, მათი შრომისა და ყოფის პირობებისადმი უურადღებით, მათი აზრისა და საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით გამხვავალული იყოს პარტიული კომიტეტების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის მუშაობის მთელი სტილი. ამისათვის კი უფრო გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებანი, უზრუნველყოთ, რომ პრობლემები არ იყოს მოწყვეტილი ცხოვრებას, სიტყვა — საქმეს. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზეც, რამდენად ეფექტიანად იქნება ორგანიზებული საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაცია.

ამრიგად, ყრილობების მუშაობამ უნდა ასახოს რესპუბლიკების ცხოვრების ყველაზე არსებითი მხარეები, ყველა მომწიფებული პრობლემა. მოწიფულობა, მომთხოვნელობა, კონსტრუქციულობა მათი გადაწყვეტისადმი მიდგომაში, კადრების შერჩევასა და აღზრდაში, საერთო-სახელმწიფო ინტერესებისა და ადგილობრივი, ეროვნული თავისებურებების ყოველმხრივ გათვალისწინება — სწორედ ეს უკავია გზას დაჩქარებულ წინსვლას.

გრანდიოზულია პარტიის მიერ დასახულ გარდაქმნათა მასშტაბი, ამჟამად რომ ხორციელდება ქვეყანაში. მოგველის დიდი, რთული მუშაობა, რომელიც მოითხოვს სიმტკიცეს, გამბედაობას, მოთმინებას, ძალების მაქსიმალურ დაძაბვას. და ყველა კომუნისტის, ლენინური პარტიის ყველა რაზმის მეცადინეობაზე გადამწყვეტწილად დამოკიდებულია, რომ ეს მუშაობა გახდეს ნამდვილად საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმე. ეს არის გამარჯვების საწინდარი.

18 იანვრის მოწინავე

„ПРАВДА“

მიფრინავს „კოსმოს—1726“

1986 წლის 17 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1726“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდსი).

ბავშვები ხმას აძლევენ მშვიდობას

თბილისის 161-ე საშუალო სკოლის ათასზე მეტმა მოსწავლემ ხელი მოაწერა მოწოდებას „ბავშვები ხმას აძლევენ მშვიდობას“. აქ გამართული მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება, რომელიც ჩამოყალიბებულია გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და შემცირების ვრცელი პროგრამა.

— უბრალო ამერიკელი გოგონას სამანტა სმიტის სახელი კარგადაა ცნობილი თითოეული საბჭოთა მოსწავლისათვის, — თქვა მიტინგზე გამოსვლისას მეათექვსმეტე სოფიკო დაავლიანიძემ. — როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი ყღერს ჩვენი ხალხების მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლოდ. და პლანეტის ახალგაზრდობას არ უნდა ჰქონდეს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და საპატიო საქმე, ვიდრე ის, რისთვისაც სამანტა იბრძოდა. ვფიცავთ, რომ რის გაკეთებაც მან ვერ მოასწრო, ჩვენ დავასრულებთ და არა მარტო მშვიდობისადმი მისწრაფებით, არამედ წარჩინებული სწავლით, შრომით...

ბევრი სახელოვანი საქმეა თბილისელ მოსწავლეთა ანგარიშზე. მრავალფეროვანი პიონერული აქციები, შრომითი დესანტები, საბჭოთა ახალგაზრდობის მონაწილეობა მშვიდობის მარშში... — ეს არის ის, რითაც დღეს ცხოვრობს სკოლის თითოეული პიონერი და კომკავშირელი. მშვიდობის ფონდშია გადარიცხული ბავშვთა ნაკეთობების ტრადიციულ ბაზრობებზე მიღებული სასრესრები. კერამიკისა და ხის ორიგინალური ნაკეთობანი, გობელენები, რომლებიც მათ დაამზადეს სკოლის სახელოსნოებში, პომპეოლოგია და კარგად იყიდება.

— საბჭოთა კავშირის მიერ შემოთავაზებული მშვიდობის პროგრამა, — ეს არის პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ნება, — თქვა მიტინგზე მეათეკლასელმა დათო მანჩხალაშვილმა. მთავარია, რომ ყველა სახელმწიფომ განმტკიცოს იგი კონკრეტული ღონისძიებებით, რომლებსაც ასეთი იმედით ელოდა სამანტა სმიტი.

ალიკვეთოს ბირთვული უგუნურება

მშვიდობისა და განიარაღების კურსი იყო და იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ღერძი, — ხაზგასმით აღნიშნა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში გამართული მიტინგის გახსნისას პარტკომის მდივანმა დ. გულუამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება მთელ მსოფლიოში ბირთვული ჭარიღის სრული ლიკვიდაციის კონკრეტული პროგრამის შესახებ, რომელსაც ჩვენი ქვეყანა აყენებს, გამოხატავს საბჭოთა ხალხის, მსოფლიოს ყველა კეთილი ნების ადამიანის ფიქრებსა და მისწრაფებებს.

— ჩვენ ვიცით მშვიდობის ფასიც — თქვა ინსტიტუტის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. რუსაკოვმა. — რა დაგვავლენა ეს ომი. ამ ომში ჩვენ ვიბრძოლეთ ფაშისტურ ბანდიტებთან, ბევრ ოჯახს ეცნობა ჩვენ ბიჭებს

თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრების თათბირი, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სრულყოფას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა.

განხილული საკითხის გამო გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ეხუქიძე, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. კ. შეპეტისი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ფ. მ. რუდინი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი კ. ნ. ნარიბაევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ე. ი. კაზანცევი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ა. ა. ლოგუნოვი, კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის რექტორი მ. ი. სინიუკოვი, ლენინგრადის მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ი. ს. ვასილიევი.

თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება სულ უფრო მზარდ როლს უნდა ასრულებდეს როგორც ფაქტორი, რომელიც ხანგრძლივ, სტრატეგიულ ზემოქმედებას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფაზე. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, ოვისებრივად ახალ, ტექნიკურ საფუძველზე წარმოების გადაყვანა უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კადრების ცოდნასა და კვალიფიკაციას. ამასთან დაკავშირებით მომწიფდა საჭიროება სერიოზულად გარდაიქმნას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გარდაქმნამ უნდა მოიცვას უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის ცხოვრების ყველა მხარე იმ რთული და პასუხსაგები ამოცანების შესაბამისად, რომლებსაც პარტია აყენებს უახლოეს და ხანგრძლივ პერსპექტივაში. მომწიფებული პრობლემები უნდა გადაჭრას კომპლექსურად, ყოველმხრივ გაუმჯობესდეს კადრების მომზადების ხარისხი და სტრუქტურა, სრულყოფილი გახდეს განათლების შინაარსი, განვითარდეს სპეციალისტთა შემოქმედებითი ნიჭი, ამაღლდეს მეცნიერ-პედაგოგთა კადრების დონე, განახლდეს სასწავლო-მატერიალური ბაზა. დიდი ყურადღება დაეთმობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას, მოსწავლეებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, სასწავლო შრომის შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის გადიდებას, სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარებას.

აღინიშნა, რომ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის გარდაქმნა, სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ეფექტიანობის ზრდა, მათი გამოყენების გაუმჯობესება, უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის გაძლიერება უნდა მივიჩნიოთ ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების გადაუდებელ ამოცანად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ვ. ა. მედვედევი, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ა. იაგოდინი, სსრ კავშირის განათლების მინისტრი ს. გ. შჩერბაკოვი, სსრ კავშირის ჯანდაცვის მინისტრი ს. პ. ბურენკოვი, სსრ კავშირის შრომსაზკომის თავმჯდომარე ი. ი. გლადკი.

(საკ&ეს).

თბილისი. ელექტროშედუღების მოწყობილობის ქარხანაში იწყება ახალი დანადგარების ათვისება, რომლებიც თავიანთი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. დანადგარები დააპროექტა ელექტროშედუღების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის განყოფილების კოლექტივმა.

ახალი ქარხანაში მიმდინარეობს პროგრამული მართვის ჩარხებისა და რობოტების დამონტაჟება, რაც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ზრდასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

სურათზე: ნ. ფიციაგინა და ლ. ფილინი აპროექტებენ შესადუღებელი მოწყობილობის სამარჯვს.

დ. იაკობაშვილის ფოტო.

მზადა ვართ ხვალინდელისთვის

კადრების შერჩევა, აღზრდა და განაწილება ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანია ნებისმიერი პარტიული ორგანიზაციისათვის. საკადრო პოლიტიკის პრობლემებს დიდი ადგილი დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვასა და გამოსვლებში.

ამ საკითხზე გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა.

— გასული წლის მარტში აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებისადმი მიძღვნილ საკავშირო ეკონომიკურ თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „პარტიული კომიტეტებისათვის მეურნეობის გაძღოლა ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა ადამიანებთან, კადრებთან მუშაობას. საჭიროა კონკრეტული შინაარსი მივანიჭოთ ამ ფორმულას, განუხრელად ვიხელმძღვანელოთ დიდმნიშვნელოვანი პარტიული პრინციპით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა გადამწყვეტ უბანზე იდგნენ პოლიტიკურად მოწიფული, წიგნიერი, კომპეტენტური ადამიანები, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული ნიჭი და სიახლის ალღო".

თქვენი აზრით რა არის საჭირო, რომ ყველა უბანს ასეთი ადამიანები ჩავუყენოთ სათავეში?

— ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკა დამაჯერებლად მოწმობს, რომ წარმატებას აღწევენ ის ხელმძღვანელები, რომლებიც კომპეტენტურობის გარდა ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებით გამოირჩევიან, რომლებსაც შესწევთ უნარი დარაზმონ ადამიანები დიდი საქმეებისათვის. საამისოდ ჩვენ დიდხანს ვარჩევთ კადრებს. ვაკვირდებით მათ, ვიყვანთ რეზერვად, მხოლოდ ამის შემდეგ ვაწინაურებთ.

ამჟამად პარტიის საოლქო კომიტეტის ნომენკლატურის 93 პროცენტი უზრუნველყოფილია რეზერვით, მაშინ, როცა ამ ერთი წლის წინათ მხოლოდ 70 პროცენტი იყო.

ყოველ თანამდებობაზე შერჩეულია ორი-სამი უმაღლესი განათლების მქონე კანდიდატები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები. რეზერვში ჩარიცხულებიდან დასაწინაურებლად კადრებს ვარჩევთ უმაღლეს პარტიულ-პოლიტიკურ სასწავლებლებში გასაგზავნად. ასევე ვგზავნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირული აქტივის სკოლებსა და სემინარებში, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში. ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ნომენკლატურაში შემავალი გათავისუფლებული თანამდებობების 70-80 პროცენტი რეზერვიდან შეივსო.

ავტონომიური რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები სულ უფრო თამამად მიდიან ხელმძღვანელი მუშაკების შერჩევისა და შესწავლის, ამ საქმეში პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების როლის გაძლიერების, საერთოდ დემოკრატიული ფორმების განვითარების გზით. ამ მიზნით კანდიდატურებს, რომლებსაც პარტიული ორგანოები გვთავაზობენ მთავარი ინჟინრების, საწარმოთა დირექტორების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ თანამდებობებზე, როგორც უკვე წესი, ვამტკიცებთ პარტიული ორგანიზაციების, საწარმოთა კოლექტივების საერთო კრებებზე.

ასე, მაგალითად, ბზიფის ექსპერიმენტული სახლთსაშენებელი კომბინატის № 144 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ელექტროშეინკალი ვ. ეურბა არჩეულია გუდაუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. ბოლო წლებში მსგავსი რეკომენდაციებით დაწინაურდა ახალ ნომენკლატურულ მუშაკთა 50 პროცენტი. ეს კი თავიდან გვაცლის სუბიექტივიზმს მუშაკთა შეფასების დროს.

— ორიოდე სიტყვით — შეფასების კრიტერიუმებზე. კონკრეტულად როგორ უნდა შევაფასოთ სამეურნეო ხელმძღვანელთა მუშაობა, როგორ განვასხვაოთ კარგი დირექტორი სუსტისაგან, როგორ განვსაზღვროთ მისი საქმიანი და ადამიანური თვისებები?

— ცოდვა გამხელილი ჯობია, შეფასების დროს ჯერ კიდევ ხშირად ვართ მეტისმეტად სწორხაზოვანნი: ასოულებს საწარმოო გეგმას, მაშასადამე, ხელმძღვანელი თავის ადგილზეა. ხოლო როგორ, რა გზით აღწევს იგი ამას, ნაღდი, ეკონომიკურად გამართლებულია ეს წარმატება თუ მოჩვენებითია, ამას ზოგჯერ ნაკლებად ვუკვირდებით. არ ვაანალიზებთ მუშაობის შედეგებს. ერთი სიტყვით, იმის ცოდნაა საჭირო და აუცილებელიც, არის თუ არა ესა თუ ის კაცი ნამდვილი ლიდერი. რამდენიმე წელია შახტასამმართველო „ტყვარჩელის" კოლექტივს კომუნისტი კ. კიზირია ხელმძღვანელობს. მისი მოსავლით სამმართველომ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა.

ამასთან ჩვენ მხოლოდ იმას კი არ ვუყურებთ, რომ კოლექტივმა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, არამედ იმასაც, რომ კ. კიზირია ოთხმოციანი წლების ტიპური ხელმძღვანელია. გარდა იმისა, რომ კარგად იცის საქმე, რომელსაც უძღვება, ყოველთვის მოქმედებს მიზანსწრაფულად, მუშაობაში ეყრდნობა პარტიულ ორგანიზაციას. უნდა ითქვას, რომ იგი დროს ფეხდაფეხ მისდევს. სისტემატურად ითვისებს მართვის ახალ მეთოდებს, კარგად უხამებს ადმინისტრატორის ნიჭს პოლიტიკურ და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ზრუნავს სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის.

ქმებას იმსახურებენ აგრეთვე ბევრი სამრეწველო საწარმოს, ტრანსპორტის, მშენებლობების, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის ხელმძღვანელები. ასეთები არიან ენგურჰესის კასკადის დირექტორი გ. მიქავა, ტყვარჩელის ცენტრალური მამდიდრებელი ფაბრიკის დირექტორი გ. ეფრემოვი, „კავკასტრანსმშენის" ტრესტის № 676 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი გ. ცხომარია, კავშირგაბმულობის ახალი ათონის განყოფილების უფროსი პუტინცევა და სხვ.

არადა, ხელმძღვანელ კადრებზე გადამწყვეტად არის დამოკიდებული ამა თუ იმ უბანზე საქმის წარმატება. მაგალითად, მეთერთმეტე ხუთწლედში ფიფინის ამოცანები დაისახეს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. მათი პირობა იყო ძირითადი კულტურების მიხედვით ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულება. ლიხნელებმა თავიანთი სიტყვა პირნათლად შეასრულეს. ამ გამარჯვების მოპოვებაში კი დიდია კოლმეურნეობის თავკაცის — პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ლენინის, პირველი და მეორე ხარისხის სამამულო ომის, წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერის ხაკობეი აიბას დამსახურება.

—საკუთარი საქმიანობის თვითკრიტიკული შეფასება კარგი ხელმძღვანელის დამახასიათებელი ნიშანია. ორიოდე სიტყვით შეგვიხოთ ამ საქმეში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ ამოცანებს, მოუგვარებელ პრობლემებს.

— ერთბაშად ვიტყვი, რომ ჩვენი მუშაობა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმისა, რაც უახლოეს ხანს უნდა განახორციელოს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა საკადრო პოლიტიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით.

ჩვენი მუშაობის ნაკლად მიმაჩნია ის, რომ ცალკეულ სამინისტროებში, უწყებებში, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონულ საბჭოებში, სამეურნეო ორგანოებში პარტიული კომიტეტებისაგან განსხვავებით ეს მუშაობა ჯერ კიდევ სადღეისო მოთხოვნათა დონეზე არ მიმდინარეობს, გვხვდება ფორმალიზმისა და უსისტემობის გამოვლინების ფაქტები.

ვერც იმას მივაღწიეთ, რომ პარტიულ კომიტეტში ყოველ ნომენკლატურულ მუშაკზე გვქონდეს ნამდვილად სრულფასოვანი რეზერვი. პრაქტიკიდან ვერ აღმოვფხვერით ცალკეულ საწარმოო კოლექტივებში ხელმძღვანელთა ხშირი ცვლა. მცირეა სამეურნეო ხელმძღვანელთა შორის ქალების ხვედრითი წილი. უფრო მეტად უნდა გავზარდოთ ყოველი ნომენკლატურული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი მოვალეობის შესრულებისათვის. ერთი სიტყვით, საქმე ბევრი გვაქვს, სამუშაო საინტერესო, მრავალპლანიანია. კომუნისტთა ისეთი დიდი ფორუმები, როგორიც არის სკკპ XXVII ყრილობა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა ახალ-ახალი მიზანმიმართულებებით შეგვაიარაღებს და ჩვენც მზად ვართ ხვალინდელი დღისათვის.

საუბარი ჩაიწერა
თ. მორგოშიამ.

ამაზე ბევრს ამბობენ:
** კადრები—კომპეტენტურობა, ერთგულება, ანგარიშვალდებულება**

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

სახელმწიფო ბანკი ქვეყნის ანგარიშსწორების ცენტრია. იგი დიდად არის დაინტერესებული სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების დაჩქარებით, საგადახდო დისციპლინის განმტკიცებით და ეს გასაგებია: მთელი საბრუნავი საშუალების 60 პროცენტზე მეტი იფარება კრედიტის ხარჯზე და მისი გამოყენების ეფექტიანობა საკუთარი და ნასესხები საბრუნავი საშუალებების ხარისხს უკავშირდება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ანგარიშსწორებისა და საგადამხდელო დისციპლინის მდგომარეობა, მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, კვლავ დაბალია.

გასული წლის პირველი დეკემბრისათვის რესპუბლიკაში საერთო გადაუხდელობის თანხამ მარტო სახბანკის ხაზით შეადგინა 1 მილიარდ 960 მილიონი მანეთი, რაც 20 პროცენტით აღემატება 1984 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს. ამ თანხიდან 1 მილიარდ 70 მილიონი მანეთი მოდის ბანკის სესხებზე. ეს ნიშნავს, რომ რესპუბლიკაში გაცემული მთელი კრედიტებიდან დროულად არ იფარება 25 პროცენტზე მეტი, საშუალო საკავშირო მონაცემებით კი ეს ციფრი 5 პროცენტს არ აღემატება. სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა კავშირში. გადაუხდელობის ძირითადი მიზეზებია სამეურნეო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საბრუნავი საშუალებების არამიზნობრივი გამოყენება. მარტო საქონლის ზენორმატიულ მარაგზე მოდის მთელი გადაუხდელობის თითქმის მესამედი. ამიტომაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შარშან ნოემბერში განიხილა ეკონომიკური განყოფილების წერილი და მოიწონა ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განახორციელოს რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საქსაზომთარაგების. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორისა და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ხელმძღვანელობამ.

სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ, თავის მხრივ, სასწრაფოდ განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ზემოაღნიშნულ საკითხზე და გამოსცა ბრძანება, სადაც განსაზღვრულია სახელმწიფო ბანკის კანტორის ამარატის, ბინდამი დაქვემდებარებული ფილიალების როლი მისი წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

მთელი რიგი საწარმოებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელები ბოლო ხანს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარებას, ხშირად ამ მაჩვენებელს არც კი ითვალისწინებენ მუშაობის შეფასებისას. იქმნება ისეთი პარადოქსული მდგომარეობა, როცა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ფაბრიკებისა და ქარხნების ხელმძღვანელები ითხოვენ დამატებით მატერიალურ რესურსებს, არადა, ამ დროს მათ ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული ნაშთები უწყვიათ საწყობებში.

მარტო ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებისა და თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის წილად მოდის დაუკრედიტებელი ნაშთების 50 პროცენტი. მეთერთმეტე ხუთწლედის უკანასკნელ წელს ნაშთების ოდენობა გაიზარდა 32 მილიონი მანეთით, ანუ ორჯერ და მეტად.

აღსანიშნავია, რომ საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1982 წლის დადგენილების თანახმად, მეთერთმეტე ხუთწლედში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიცემული ჰქონდა ზენორმატიული მარაგის ბრუნვაში დაახლოებით 18 მილიონი მანეთის ჩართვის დავალება, სინამდვილეში ნაშთები არათუ არ შემცირებულა, არამედ 4-ჯერ და მეტად გაიზარდა. ზენორმატიული ნაშთების ბრუნვაში ჩართვის დავალება, როგორც ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებას, ისე მაუდ-კამვოლის კომბინატს ისედაც შემცირებული გაწესებაზეთრთ, მაგრამ მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე ნაშთები არა თუ არ შემცირებულა, 3-4-ჯერ გაიზარდა და შესაბამისად 34 და 31 მილიონი მანეთი შეადგინა. უშვებენ ისეთ საქონელს, რომელზეც არ არის მოთხოვნა, ხშირია წუნიანი პროდუქციის გამოშვების ფაქტები. შარშან დეკემბერში გამართულ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე თავის გამოსვლაში ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა აღნიშნა, რომ „...დროა, ბოლოს და ბოლოს, გავჩერდეთ, შევწყვიტოთ აშკარა წუნის, ისეთი პროდუქციის გამოშვება, არავის რომ არ სჭირდება, ეს ხომ ძვირფასი ნედლეულის ფუჭი ფლანგვაა, უქმად დაბარჯული შრომა, ანტისამეურნეო, ანტისახელმწიფო პოლიტიკაა". მეტად არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა ამ მხრივ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებშიც. აქ ზენორმატიული მარაგის ნაშთებმა 84 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

მეთერთმეტე ხუთწლედში მარტო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების საკრედიტო დაბანდება 250 მილიონი მანეთით გაიზარდა, აქედან ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — 84 მილიონი მანეთით, რაც ძირითადად სასაქონლო ფასეულობათა ნაშთების ზრდით არის გამოწვეული. გადაზღისუნარიანობის დაკარგვის გამო სამინისტროს საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ მიღებულ კრედიტებს დროულ დაბრუნებას. ეს სამინისტრო გამოყენებული კრედიტების 36 პროცენტზე მეტს ვადების უზეშო დარღვევით ფარავს და სესხის ვადების გადაცილებისათვის გაზრდილი ნიხრით იხდის პროცენტებს.

საკუთარი სახსრების ზენორმატიული მარაგის „გაყინვის" შედეგად იზრდება ბოთხვნა ნასესხებ საშუალებებზე, კერძოდ, ბანკის კრედიტებზე, მაგრამ ამ უკანასკნელის ვადაზე დაუბრუნებლობის გამო გასული წლის 9 თვეში სამინისტროს საწარმოებმა 15,9 მილიონი მანეთის ნაცვლად 20,5 მილიონი მანეთი გადაიხადეს.

აღგილობრივი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ექსპერიმენტული ქარხანა კრედიტების დროზე დაუბრუნებლობისათვის ყოველწლიურად კარგავს 500-600 ათას მანეთს. ამიტომაც იგი დაგეგმილი მოგების ნაცვლად ყოველწლიურად ზარალობს.

დიდი ზენორმატიული ნაშთების გამო ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან საკონსერვო მრეწველობის საწარმოები. აქ დაგროვდა 366 მილიონი მანეთის ზეგეგმითი ნაშთები, საიდანაც 280 მილიონი მანეთი მოდის მზა პროდუქციაზე. აქ ლაპარაკი არ არის ნაშთების უბრალო ზრდაზე, ზენორმატიული მზა პროდუქციის მოცულობა 10-ჯერ აღემატება დადგენილ ნორმატივს.

არც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებშია საქმე დამაკმაყოფილებლად. გაერთიანება „ელვას" გამოთვლითი მანქანების ქარხანაში უკანასკნელი წლების მანძილზე დაგროვდა ზენორმატიული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა, რომლის მოცულობამ 1984 წლის 1 იანვრისათვის 11 მილიონ მანეთს დაგაასჭარბა. ქარხანას შეექმნა ფინანსური სიძნელეები და ვერ უზრუნველყოფდა მიღებული კრედიტების დროულად დაბრუნებას. სათანადო გაფრთხილების შემდეგ, ნაშთების შემცირებისათვის საჭირო ზომების მიუღებლობისათვის მას შეუწყდა კრედიტები, რამაც გამოიწვია მომწოდებლებისათვის ანგარიშების გაუნაღდებლობა. ამან კი საფრთხე შეუქმნა საწარმოო პროგრამის შესრულებას. სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ გამოიჩინა საჭირო პრინციპულობა, მისწერა საკავშირო სამინისტროს იმის შესახებ, რომ, თუ არ განახორციელებდა სერიოზულ ღონისძიებებს ნაშთების შემცირებისათვის, ბანკი არ აღუდგენდა ქარხანას ნორმალურ დაკრედიტებას. ამასთანავე სახბანკის კანტორამ სათანადო ინფორმაციები გაუგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილებას და ორჯონიკიძის რაიკომს. მათი უშუალო ჩარევისა და სახბანკის კანტორის პრინციპული პოზიციის შედეგად საკავშირო სამინისტრომ ქარხანას დაუმტკიცა ნაშთების სასარგებლო ბრუნვაში ჩართვის საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიება. ამავე დროს სახბანკის კანტორის კატეგორიული მოთხოვნით მას აღმოუჩინეს დროებითი ფინანსური დახმარება ბანკის ვალის — 3,5 მილიონი მანეთის დასაფარავად. ამის შედეგად კანტორამ დროებით აღადგინა ქარხანასთან ნორმალური საკრედიტო ურთიერთობა. სამწუხაროდ, ყველა საწარმოს ხელმძღვანელი ასე როდი იქცევა.

სამეურნეო ხელმძღვანელები შეეცდებიან მიიჩნევენ, რომ სახბანკი ვალდებულია შეუფერხებლად გაანაღდოს ყველა საგადასახადო დოკუმენტი, მიუხედავად წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტისა, ფინანსური ხასიათის გარღვევებისა და ხანგრძლივობისა. ამიტომ სასურველი იქნებოდა ძირითად მიმართულებათა პროექტში მითითებული იყოს საწარმოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, რათა არ დაუშვან ზენორმატიული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუმართლებელი დაგროვება.

ამ საკითხს იმიტომ ვაყენებთ, რომ საწარმოოო გაერთიანება „აგრეგატს", მაგალითად, დიდხანს ერიცხებოდა 5 მილიონი მანეთის ზენორმატიული მარაგი და მიუხედავად ამისა, ზემდგომი ორგანოები შეუფერხებლად აძლევენ მას ფინანსურ დახმარებას 3 მილიონი მანეთის ოდენობით, რათა ბანკმა არ მოხსნას იგი დაკრედიტებიდან. კიდევ ერთი საკითხი: საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, უზრუნველყოთ ხარისხისა და ასორტიმენტის შესაბამისობა.

დღეს რესპუბლიკაში ოპერატიული მონაცემებით, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა 2 მილიარდ მანეთზე მეტი ზენორმატიული ნაშთებია დაგროვილი, რომელთა შენახვა, ყოველწლიური ინვენტარიზაცია და შეკეთება, რომ არაფერი ვთქვათ ბუნებრივ დანაკარგებზე, მძიმე ტვირთად აწვება რესპუბლიკის ბიუჯეტს, ამცირებს საკრედიტო დაბანდებას. მარტო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელზით უკანასკნელ წლებში გაუსაღლებელი პროდუქციის ჩამოფასებისათვის 30 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

განსაკუთრებით დიდი ზენორმატიული ნაშთები აქვთ ქუთაისის საწარმოებსა და ორგანიზაციებს — 207 მილიონი მანეთი. ეს თითქმის 2-ჯერ მეტია ნორმატივთან შედარებით, ქ. ზუგდიდისას — 94 მილიონი მანეთი, გორისას — 66 მილიონი მანეთი, მახარაძისას 80 მილიონი მანეთი, სამტრედიისას — 50 მილიონი მანეთი და სხვ.

ზენორმატიული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემცირებისათვის ბრძოლა საწარმოთა სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცების საფუძველია. იგი სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორებისა და საგადასახადო დისციპლინის დაცვის უცილობელი პირობაა.

ბ. სვანაძე,
სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე.

ვალს გადახდა უნდა

ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რომ შრომითმა კოლექტივებმა აღიქვან სამეურნეო მექანიზმის სრულყოფასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებანი, საჭიროა ახალი ტიპის ბრიგადებს განვუმარტოთ სამეურნეო ანგარიშის პრინციპები, შრომის ანაზღაურება უშუალოდ დავუკავშიროთ შრომითი კოლექტივის საქმიანობის საბოლოო შედეგებს.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად უნდა ავამოქმედოთ ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალური რეზერვები. თითოეული მუშაკი საკუთარ სამუშაო ადგილზე უნდა მუშაობდეს კეთილსინდისიერად, სრული უკუგებით, ყაირათიანად იყენებდეს მატერიალურ რესურსებს, იყოს ინიციატივიანი. ამის მისაღწევად კი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღიარეს, მარტო მოწოდებებით ვერას გავხდებთ, ვერც მარტო იმ ზოგადი გაგების იმედით ვიქნებით, რომ თითოეულის თავდაღებული შრომა საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდას ემსახურება. ყველა შრომითს კოლექტივში უნდა ჩამოყალიბდეს მატერიალური და მორალური სტიმულირების ისეთი სისტემა, რომ მშრომელები უშუალოდ და ხელშესახებად აღიქვამდნენ კეთილსინდისიერი და თავდადებული შრომის სიდიადეს. მათი მატერიალური მდგომარეობა პირდაპირ უნდა იყოს დამოკიდებული საკუთარი შრომის შედეგებზე.

სტიმულირების ასეთი სისტემის განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველად საწარმოო რგოლში — ბრიგადაში სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, რომელიც შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების განვითარებისა და სრულყოფის შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში აღინიშნულია, რომ უნდა „გავაძლიეროთ მართვის ეკონომიკური მეთოდების როლი, განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში წარმოების ყველა რგოლში".

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმების გამოყენების დროს ბრიგადის წევრთა შრომის ანაზღაურება ხდება კოლექტიური შრომის საბოლოო შედეგების მიხედვით. ბრიგადის წევრებს აერთიანებენ ერთი მიზანი — რაც შეიძლება მაღალი იყოს საბოლოო შედეგები. ეს სწორია, მაგრამ ამ მიზანმა კოლექტივში შეიძლება წარმოქმნას მისწრაფება იმისადმი, რომ მაღალ შედეგებს ნებისმიერი დანახარჯებთ მიაღწიონ.

ბრიგადის თითოეულ წევრს წარმოების, სახალხო დოვლათის მეპატრონის ფსიქოლოგია რომ ჩამოუყალიბდეს, საჭიროა შეიქმნას ისეთი ეკონომიკური მექანიზმი, როდესაც კოლექტივი დაინტერესებული იქნება მისთვის მიჩენილი მოწყობილობის და რესურსების რაციონალური გამოყენებით. ამასთან, ცხადია, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა, რათა შეეძლოს შეარჩიოს რესურსების გამოყენებისა და ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების ის ვარიანტი, რომელიც მინიმალურ დანახარჯებს უკავშირდება. ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა, მატერიალური პასუხისმგებლობა და დაინტერესება ის ძირითადი პრინციპებია, რომლებსაც უნდა ეყრდნობოდეს ბრიგადული სამეურნეო ანგარიში.

სამეურნეო ანგარიშის მაჩვენებელთა განსაზღვრა და გამოყენება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ბრიგადის საქმიანობის საგეგმო-საარიცხვო ერთეულის სწორ შერჩევაზე, რომელიც წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა ბრიგადაში სხვადასხვაა.

ბრიგადის საგეგმო-საღრიცხვო ერთეულზე, ანუ პროდუქციის ერთეულზე (ნაკეთობაზე, კვანძზე, დეტალთა-კომპლექტზე, ბრიგადა-კომპლექტზე და სხვა) უნდა განისაზღვროს შრომითი და მატერიალური დანახარჯების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები ნატურალური და ღირებულებითი გამოსახულებით.

შრომის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების საფუძველზე განისაზღვრება ერთეული პროდუქციის სანარდო შეფასება, ესე იგი ხელფასის სიდიდე, რომელიც დაერიცხება ბრიგადას ერთეული ყველა სახეობის მატერიალური რესურსების დანახარჯები. უნდა დაეგეგმოს რესურსების მხოლოდ ის სახეობანი, რომლებსაც მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი აქვთ ბ

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ, მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა გულუხვი გაზიარება უზენაესი კანონია, რომლითაც ცხოვრობს ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ურღვევი შემოქმედებითი თანამშრომლობის ურთიერთობა აკავშირებთ ჩვენი დიდი მრავალეროვანი საშობლოს შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. კომუნისტთა ფორუმის წინ ისინი ერთმანეთს მიმართავენ გულითადი მისალმების სიტყვებით, უზიარებენ აზრებს ხსრ კავშირის ხალხთა ეროვნული კულტურების ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების ნაყოფიერი პროცესის შესახებ, გვიამბობენ ხალხთა ლენინური მეგობრობის დიად ძალაზე, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა შთაგონების უშრეტი წყაროა.

პარტიის XXVII ყრილობას რომ ვეგებებით, ტრადიციული რუბრიკით „ჩვენი ძმობის მისამართები", — გთავაზობთ ცნობილი უკრაინელი პოეტის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის ვიტალი კოროტიჩის ღია წერილს, რომლითაც მან მიმართა თავის თანამოკალმეებს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

პარტიის ყრილობის შესახვედრად

მეგობართა მხარე—საქართველო

ჩვენი ძმობის მისამართები

ᲩᲔᲛᲘ რჩეული ლექსების რუსული თარგმანების წიგნში, რომელიც საცაა გამოვა მოსკოვში, საქართველოს შესახებ დაწერილ ლექსებს დიდი ადგილი უკავია. მაგრამ ერთად რომ შემეგროვებინა ყველაფერი, რაც საქართველომ შთამაგონა, ან რაც ქართულ მიწა-წყალზე ყოფნისას დამიწერია, საკმაოდ დიდი ტომი გამოვიდოდა. იქნებ ოდესმე შევადგინო კიდეც იგი.

ისე მოხდა, რომ ჩემს ცხოვრებაში (როცა კი შესაძლებლობა მეძლევა ვცდილობ საქართველოზე გავიგო ახალი რამ, დავწერო მასზე), შემოქმედებაშიც (სწორედ ახლა ვთარგმნი ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებს) ძალზე ბევრი რამ არის დაკავშირებული საქართველოს, მიწა-წყალთან და ქართველებთან. ამით ვამაყობ და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის.

საქართველო დღესასწაულია, რომელიც მუდამ ჩემთანაა, და ეს მუდმივი მოწოდებაა მუშაობისათვის.

ჩემს კაბინეტს ამშვენებს ლადო გუდიაშვილის ნაჩუქარი სურათი: შშვენიერი ქართველი ქალის სახე ისეა გაცისკროვნებული ნათელი ღიმილით, რომ, როცა უნდა შევავლო თვალი, გულს მომეშვება ხოლმე. ჩემს სახლში ძალზე ბევრია საქართველო: მეგობრების ხმა ტელეფონის ყურმილში, მათი წერილები სამუშაო მაგიდაზე, წიგნები და ნივთები, რომლებიც ჩემთვის თქვენი დიადი ქვეყნის სიმბოლოდ აქეს. შოთა რუსთაველის სამარადჟამო წიგნი თაროზე შევჩენილს „კობზარის" გვერდით მიდევს; მუდამ მწამდა და მწამს, რომ დიდი მიღწევები, სულიერი აღმფრენები ახლოებს ხალხებს. რომც არ მცოდნოდა, აკაკი წერეთელი ჩვენი ტარას შევჩენილს უდიდესი პოპულარიზატორი და მთარგმნელი რომ იყო, მაინც მივხვდებოდი იმით, რას აკეთებდა და როგორ ცხოვრობდა უკვდავი აკაკი. როგორი გაზარდა იგი სამშობლომ.

საქართველოს საუკეთესო შვილები მუდამ თანამიმდევარნი იყვნენ. უშიშარი და დაუყვედრებელი რაინდის კულტი, რომელიც საერთო ბედნიერებისათვის სჩადიოდა გმირობას, დიდებითაა მოსილი ქართველთა ხსოვნასა და დღევანდელ შეგნებაში.

კარგის არდავიწყება მეტად მნიშვნელოვანი რამაა. არა მარტო თბილისსა თუ ქუთაისში, არამედ კახეთისა თუ გურიის სოფლებშიც ხალისით და დაწვრილებით გიამბობენ, ვინ ცხოვრობდა ამ სახლში და რით არის იგი ცნობილი, გეტყვიან, რა კარგმა ადამიანებმა გაიშენეს ეს ბაღი. მხოლოდ ნამდვილად დიდ ხალხს შეუძლია არ ივიწყებდეს არცერთ მამულიშვილს, მთელ დუნიაზე ეძებდეს და პოულობდეს მათ. რა სიხარულით მიესალმებიან ერთმანეთს ქართველები, სახლისაგან შორს რომ შეხვდებიან ხოლმე ერთმანეთს. მამულის მძაფრი გრძნობა და მისთვის რაინდული პასუხისმგებლობა: ვინ მოთვლის რამდენჯერ ასახული ეს ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ადამიანების ქცევასა და ხალხურ თქმულებებში, რომლებიც დღესაც არათუ არავის ავიწყდება, არამედ მრავლდება კიდეც.

ოდესღაც უკვე დავწერე, და ეს ჩამეჭიდა მეხსიერებაში, რომ სწორედ ქართველი იყო წითელარმიელი, ხელში რომ ამიტაცა 1943 წლის ნოემბერს. ეს იყო განთავისუფლებულ კიევში. უფრო მოგვიანებით შევიტყვე, რომ დიდი სამამულო ომის წლებში გმირად შერაცხული ყველა ქართველის ნახევარზე მეტს ეს მაღალი წოდება უკრაინაში მიენიჭა.

ჩემი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ამას და დიდად აფასებს კიდეც. ერთობლივი ბრძოლითა და ერთად დაღვრილი სისხლით იქნდებოდა ძმობა ჩვენს შორეულ ისტორიაში, მაგრამ ისეთი მოხილითური, როგორიც ახლაა, არასოდეს ყოფილა. იმას, რომ გულწრფელად ვამაყობ ჩემი მეგობრობით საქართველოს შესანიშნავ მშრომელებთან — არა მარტო მწერლებთან, — ბევრად განსაზღვრავს იმედიანად ცხოვრების სურვილი. ეს ყველას სჭირდება, და ბედნიერი ვარ, რამეთუ მტაცედ მჯერა: ქართველები არ გიღალატებენ, ურთულეს სიტუაციაშიც კი შეგიძლია გქონდეს მათი იმედი.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია საქართველოს ბედისათვის — უნარი, შეგეძლოს ურთიერთობა საქმიან დონეზე, მეგობრობის უმაღლესი კულტურის, იმისადმი პატივისცემის დონეზე, რაც კი რამ არის საუკეთესო ქვეყნად, რაც კი რამ არის ბრძნული, სამართლიანი და თავისუფალი. ახლა, ქვეყნის ბედის ასეთ გარდამტეხ მომენტში, ასეთი თვისებები სახელმწიფოებრივად არის საჭირო. უნარი არა მარტო ხედავდე ცხოვრების გაუმჯობესების გზას, არამედ აუმჯობესებდე ცხოვრებას.

ხალხის ბედში ყოველგვარი შემობრუნება აძლიერებს ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათის ამა თუ იმ მხარეს. ის, რომ ქართველი ხალხი დამკვიდრდა საბჭოთა საზოგადოებაში და განვითარდა სწორედ ასეთნაირად, შესანიშნავია. და შესანიშნავია, რომ საქართველომ ასე კარგად იცის ვისი გორისაა, კარგად ახსოვს ყველა ძნელბედობა და ასე იცის ყველა თავისი სიხარულის დაფასება. მეტიც, ქართული ეროვნული ხასიათის თვისებად მუდამ მიმიჩნევია ტკივილის საკუთარ თავში ჩაკვლის ღირსეული უნარი, მისი მხოლოდ უახლოესი მეგობრებისათვის გამხელა, სამაგიეროდ კი ძალისა და სიხარულის სხვისთვის არდაშურება. არასოდეს არ დამავიწყდება ერთ-ერთი უბრობით საქართველოს შესანიშნავ მშრომელებთან — არა მარტო მწერლებთან, — ბევრად განსაზღვრავს იმედიანად ცხოვრების სურვილი. ეს ყველას სჭირდება, და ბედნიერი ვარ, რამეთუ მტაცედ მჯერა: ქართველები არ გიღალატებენ, ურთულეს სიტუაციაშიც კი შეგიძლია გქონდეს მათი იმედი.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია საქართველოს ბედისათვის — უნარი, შეგეძლოს ურთიერთობა საქმიან დონეზე, მეგობრობის უმაღლესი კულტურის, იმისადმი პატივისცემის დონეზე, რაც კი რამ არის საუკეთესო ქვეყნად, რაც კი რამ არის ბრძნული, სამართლიანი და თავისუფალი. ახლა, ქვეყნის ბედის ასეთ გარდამტეხ მომენტში, ასეთი თვისებები სახელმწიფოებრივად არის საჭირო. უნარი არა მარტო ხედავდე ცხოვრების გაუმჯობესების გზას, არამედ აუმჯობესებდე ცხოვრებას.

ხალხის ბედში ყოველგვარი შემობრუნება აძლიერებს ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათის ამა თუ იმ მხარეს. ის, რომ ქართველი ხალხი დამკვიდრდა საბჭოთა საზოგადოებაში და განვითარდა სწორედ ასეთნაირად, შესანიშნავია. და შესანიშნავია, რომ საქართველომ ასე კარგად იცის ვისი გორისაა, კარგად ახსოვს ყველა ძნელბედობა და ასე იცის ყველა თავისი სიხარულის დაფასება. მეტიც, ქართული ეროვნული ხასიათის თვისებად მუდამ მიმიჩნევია ტკივილის საკუთარ თავში ჩაკვლის ღირსეული უნარი, მისი მხოლოდ უახლოესი მეგობრებისათვის გამხელა, სამაგიეროდ კი ძალისა და სიხარულის სხვისთვის არდაშურება. არასოდეს არ დამავიწყდება ერთ-ერთი უბრალოდ დიდ ხალხს შეუძლია არ ივიწყებდეს არცერთ მამულიშვილს, მთელ დუნიაზე ეძებდეს და პოულობდეს მათ. რა სიხარულით მიესალმებიან ერთმანეთს ქართველები, სახლისაგან შორს რომ შეხვდებიან ხოლმე ერთმანეთს. მამულის მძაფრი გრძნობა და მისთვის რაინდული პასუხისმგებლობა: ვინ მოთვლის რამდენჯერ ასახული ეს ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ადამიანების ქცევასა და ხალხურ თქმულებებში, რომლებიც დღესაც არათუ არავის ავიწყდება, არამედ მრავლდება კიდეც.

ოდესღაც უკვე დავწერე, და ეს ჩამეჭიდა მეხსიერებაში, რომ სწორედ ქართველი იყო წითელარმიელი, ხელში რომ ამიტაცა 1943 წლის ნოემბერს. ეს იყო განთავისუფლებულ კიევში. უფრო მოგვიანებით შევიტყვე, რომ დიდი სამამულო ომის წლებში გმირად შერაცხული ყველა ქართველის ნახევარზე მეტს ეს მაღალი წოდება უკრაინაში მიენიჭა.

ჩემი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ამას და დიდად აფასებს კიდეც. ერთობლივი ბრძოლითა და ერთად დაღვრილი სისხლით იქნდებოდა ძმობა ჩვენს შორეულ ისტორიაში, მაგრამ ისეთი მოხილითური, როგორიც ახლაა, არასოდეს ყოფილა. იმას, რომ გულწრფელად ვამაყობ ჩემი მეგობრობით საქართველოს შესანიშნავ მშრომელებთან — არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ იმაზეც, რომ არგონ საერთო საქმეს.

არასოდეს დამავიწყდება, ბრძენმა მიხაკო ორაგველიძემ შრომაში რომ მიამბო: რაოდენ ბუნებრივი იყო მისი თანასოფლელებისათვის ფაშიზმთან ომის მრისხანე წლებში იმ გადაწყვეტილების მიღება, რომ შეეკედლათ უარაინის კოლმეურნეობა, უკრაინელ ძმებთან ერთად ემუშავათ ერთ ბაღსა და ერთ ყანაში. მას სრულებით არ მიაჩნდა უჩვეულოდ ის, რომ სინდისის კარნახით ემოქმედა: სხვანაირად არც შეეძლო...

დიდი მოძღვრის მიკოლა ბაჟანის ყველა ნაამბობი, რომელმაც გამიღო საქართველოს კარი, იმას მასწავლიდა, რომ ყოველ ქართველს გულში უნდა ჩასწვდე, უნდა სცადო გაუგო მას და გამოადგეო. იგი მასწავლიდა, რომ ჭეშმარიტი სიყვარული კონკრეტული და უანგაროა, რომ საჭიროა არა მარტო და არა იმდენად იფიქრო საქართველოზე, რამდენადაც სიკეთე აკეთო მისთვის. „მიბაძე ქართველებს — მუდამ მეუბნებოდა იგი, — გახსოვდეს, რა ღირსებით აკეთებენ კეთილ საქმეს. ისწავლე მათგან..."

ალბათ კიდევ რაღაცას მოვასწრებ, მაგრამ ბევრს ვერ ვასწრებ და თავს დამნაშავედ ვგრძნობ მასწავლებელთა წინაშე. ამ ცხოვრების ორომტრიალში ვჭქარობ ვაჟაფშაველას „გველის მჭამელის" თარგმნას. ჯერ ვერ დამიწერია მოგონებები ნოდარ დუმბაძეზე — არადა დავპირდი, მასზე ხომ ასე ხშირად ვფიქრობ... ვერ ვუპასუხე რამდენიმე წერილზე, ვერ დამისრულებია ზოგიერთი საქმე. არა მარტო საქართველოს გამო სიამაყე, არამედ მის წინაშე მოუხდელი ვალის გრძნობაც ზრდის და დისციპლინას აჩვევს ადამიანს.

საქართველო კი — ყოველდღე ვგრძნობ ამას — შრომობს, და მიხარია, რომ ამ შრომაში იგი ყველა ჩვენგანზე ფიქრობს.

მახსოვს რამდენჯერ ჩავსულვარ ქუთაისიდან აბაშის რაიონში, შევხვედრივარ იმ პარტიულ მუშაკებსა და გლეხებს, ქვეყანაში პიველებმა რომ დაიწყეს მეურნეობის ორგანიზაციის ახალი პრინციპების დანერგვა — პირველ გამარჯვებებს რომ აღწევდნენ სხვებისთვის ჯერ კიდევ უცნობ გზაზე. მაშინ — და ამას ყველა ხედავდა — გვაოცებდა სწორედ ქართული ინიციატივიანობა, საერთო საბჭოთა საქმის ნაწილად რომ იქცა, კარგად მუშაობის უნარი არა მარტო იმისათვის, რომ თავად ეცხოვრათ უკეთ, არამედ იმისათვის, რომ ყველას უფრო ლაღად და შეძლებულად ეცხოვრა. ქართველმა ხალხმა ბოლო ათწლეულში ლამის ყველაზე უმაჯრად დაიწყო საკუთარი სახლიდან უსაქმურებისა და სპეკულანტების თავიდან მოშორება; სამუშაო ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბლომადაა, მაგრამ ამ მუშაობაში მოპოვებული წარმატება ყველასათვის საგულისხმოა და ყველას სჭირდება.

როცა ჩემს შვილებს საქართველოზე ვუყვები — არადა ეს იშვიათად როდი ხდება — მესახება ძალზე მარტივი ფორმულა: „ადამიანი მით უკეთესია, რაც უფრო მეტ დროს ახმარს არა საკუთარ თავზე, არამედ სხვებზე ფიქრს". ძვირფასო ქართველებო, ნუ გაგოცებთ ჩემი ალტაცება, არც ის იფიქროთ, რამეს ეაჭარბებდე. ძალიან მინდა, რომ იყოთ სწორედ ასეთები — და ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი ასეთიცაა.

ვიცი თქვენი ბევრი პრობლემა, მაგრამ ისიც ვიცი, რა სიძნელეები დაგიძლევიათ დღევანდელი დღისკენ მომავალ გზაზე. მომეცითა ნება ზოგჯერ გავაიდეალოთ, ისე როგორც საყვარელ ადამიანებს აიდეალებენ ხოლმე, ამით თქვენც უკეთესები გახდებით. ასე მგონია.

ცხოვრების ყველაზე ძნელ წუთებში ვიცი: აი აწკრიალდება ტელეფონი, თბილისიდან დამირეკავენ, მკითხავენ, როგორა ხარო, და გულიდან დარდი მომეხსნება. სიხარულის ჟამს საღღეესასწაულო სუფრასთან ხშირად მაკლია ქართველი მეგობრები — და მუდამ ვურეკავ ან წერილს ვწერ მათ. შრომაში მუდამ ვგრძნობ თქვენს თანადგომას, ჩემო დიდო და საიმედო მოკავშირენო, ხოლო როცა შინ, უკრაინაში, საქართველოზე ჩამოვაგდებ ხოლმე სიტყვას, დარბაზი სულგანაბული მისმენს, და ეს სიხუმე ახალი შეხვედრების, ახალი საერთო საქმეების სიხარულის მოლოდინად მესახება.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲙᲝᲠᲝᲢᲩᲘᲩᲘ.

„ᲔᲠᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ"

ᲮᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲔᲙᲐᲢᲔᲠᲘᲜᲐ ᲗᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲗᲘᲗᲝᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲙᲙᲐ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ.



ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ წლის წინათ რესპუბლიკის თეატრებში წარმატებით დაიდგა ცნობილი ქართველი დრამატურგის ალექსანდრე ჩხაიძის პიესა „როცა ქალაქს ძინავს". სწორედ ეს პიესა დაედო საფუძვლად ახალ ქართულ მხატვრულ ფილმს „ერთ პატარა ქალაქში", რომლის დამდგმელი რეჟისორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სბჭოთა კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების laureატი გიგა ლორთქიფანიძე. სცენარის ავტორები არიან ალ. ჩხაიძე და გ. ლორთქიფანიძე.

ფილმი გადაღებულია სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით და ეძღვნება სკკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას. იგი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ეყრებოდა საფუძველი საქართველოს ერთ-ერთ ქალაქში ახალ ეკონომიკურ ექსპერიმენტს, რომელმაც შემდეგ ფართო გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო რესპუბლიკის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

აქ, რა თქმა უნდა, ნაადრევია ახალი კინონაწარმოების შეფასება, ოღონდ ერთს კი ვიტყვით წინასწარ რომ სცენარის ავტორი და რეჟისორი, მსახიობთა ანსამბლი ტრისტან ყველაიძის, ქეთევან კიკნაძის, გიორგი ხარაბაძის, გოგი ქავთარაძის, გურამ ფირცხალავას, გრიგოლ წიტაიშვილის, თენგიზ ჩანტლაძის, სოსო გოგიჩაშვილის, გიგა ჯაფარიძის შემადგენლობით სიმართლითა და გაბედულად ამბობენ სათქმელს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრობლემებზე.

ფილმის დამდგმელი ოპერატორია აბესალომ მაისურაძე, დამდგმელი მხატვარი — კახი ხუციშვილი, კომპოზიტორი ბიძინა კვირნაძე.

ხვალიდან, 20 იანვრიდან ფილმი კინოეკრანებზე გამოვა.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: კადრი ფილმიდან „ერთ პატარა ქალაქში".

ᲕᲔᲠᲜᲘᲡᲐᲫᲔ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲡᲐᲮᲕᲘᲗᲘ ხელოვნების მოყვარულებმა პირველად გაიცნეს გამომცემლობა „ᲛᲔᲠᲜᲘ" საგამოფენო დარბაზში გახსნილი ექსპოზიციის მონაწილენი. გამოფენაზე თავიანი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები წარმოადგინეს თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა ს. ალექსი-მესხიშვილის ნამუშევრებში აგრძნობა თანამედროვე ფერწერული ფორმების გავლენა. ზუსტი ნახატი, გრაფიკული სიცხადე და ლაკონიზმი ახასიათებს ბ. ლობჟანიძის ნაწარმოებებს, რომლის ნატურმორტები და ქალაქის პეიზაჟები მოწმობს ახალგაზრდა გრაფიკოსის მდიდარ შესაძლებლობებს.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ პრემიის laureატი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი სიმონ ᲔᲘᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Ა. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ფოტო.

„ᲡᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ" ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲛᲘᲤᲘᲡᲫᲕᲔᲨᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲪᲮᲔᲗ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ მიწამ კიდევ ერთი, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი სიდიადემლ გაუმეღავნა ადამიანებს: ცოტა ხნის წინათ აქ, ფერსათის ზეგანზე, ძველი ქვის ხანის, ეგრეთ წოდებული „ველური პერიოდის" მდიდრული სადგომები და სადგომ-სახელოსნოები აღმოჩნდა.

გეოლოგიური და გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, პალეომორფოლოგიური პრობლემების სირთულითა და ხიუზვით ფერსათის ვულკანური პლატო დიდი ხანია ცნობილია სპეციალისტებისთვის როგორც ახალციხის ქვაბულის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილი. ამიერიდან კი ამ ბუნებრივ ღირსშესანიშნაობას მიემატა ახალი ფასეულობა — ნამარხი ადამიანის (Homo erestus) სადგომ-ნაბინავართა მთელი ყუბა.

„კომუნისტის" კორესპონდენტმა სოსოვა ეფსპედიციის წევრს, საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელს ზაალ ᲔᲘᲫᲘᲫᲔᲚᲘ, ვის სახელსაც უშუალოდ უკავშირდება ეს აღმოჩენა, გაუზიარებინა გაზეთის მკითხველებისათვის თავისი შთაბეჭდილებანი და მოსაზრებანი.

ᲤᲔᲠᲡᲐᲗᲘᲡ პლატო, რომლის საერთო ფართობი 30 კვადრატული კილომეტრია, თითქმის ყოველი მხრიდან კლდოვანი ქანრაფებითაა შემოზღუდული, დაკაკებული ნაწილი ზღვის დონიდან საშუალოდ 2100 მეტრზეა. მას რბილი, ტალღური რელიეფი აქვს და მოყვანილობით ჯამს მოგვაგონებს. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ მეოთხეული (ანთროპოგენული) პერიოდის განმავლობაში აქაურობამ საკმაოდ მძლავრი გამყინვარება განიცადა, რისი კვალიც ფერსათისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რელიეფზე აისახა.

შარშან ივლისში ფერსათზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბატონიშვილის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს გვიანანთროპოგენული ჰავის შემსწავლელი ექსპედიცია მუშაობდა ტარიელ ბერიძის ხელმძღვანელობით. აი, ამ ექსპედიციის წევრი გახლდით მეც.

მაპატიეთ, ცოტა არ იყოს, ვრცელი ექსკურსისათვის არქეოლოგიაში, მაგრამ სხვაგვარად გაძნელდება გავიგოთ, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ფერსათის აღმოჩენას.

ცნობილია, რომ 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ადამიანის წარმოშობის, განვითარების, განსახლების კვლევისათვის მეცნიერება ფართოდ იყენებს ისტორიული გეოლოგიის, არქეოლოგიის, ეკოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის დარგებში შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას. ამის გამო მეცნიერული წარმოდგენები ადამიანის ევოლუციის შესახებ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ერთობ გამდიდრდა და მრავალმხრივი გახდა. ამავე პერიოდში პალეოანთროპოლოგთა და იმ მეცნიერთა ყურადღება, რომლებიც ადამიანის წარმოშობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს სწავლობენ, კონცენტრირებული იყო აფრიკის კონტინენტზე, სადაც ერთმანეთს მოსდევდა სენსაციური აღმოჩენები ადამიანთა მოდგმის (ჰომინიდების) უძველესი წარმომადგენლების ყოფა-ცხოვრების შესახებ. აღმოჩენები ისე გაზმირდა, რომ მეცნიერები მასალის დამუშავებას, გაგაზრებასა და სათანადო ინტერპრეტაციას ვეღარც კი აუდიოდნენ. კერძოდ, შეუთანხმებლობა სუფევდა აღმოჩენილი განამარხებული არსებების ტაქსონომიაში — სათანადო სახეობის დადგენასა და მათთვის შესაბამისი სახელწოდების მინიჭებაში.

სადღეისოდ კატეგორიობის აკვნის — მისი სულ პირველი სამშობლოს საკითხი თითქოს გადაწყვეტილია. იგი აფრიკაში ეგულებათ.

საბოლოოდ ჯერ კიდევ დაუდგენელი, მაგრამ საკმაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, ჰომინიდები აფრიკულ ადამიანის მსგავს მაიმუნებს მოიცენის დასასრულს, ანუ 8-7 მილიონი წლის წინათ, გამოეყვნენ.

ჰომინიდების კვალი, რომლებიც 4 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ, აღმოჩენილია ტანზანიასა და ეთიოპიაში. თუ როგორ მიმდინარეობდა მათი ევოლუცია ამ პერიოდამდე, მეცნიერებამ არ იცის. ფაუნისა და გარემო პირობების ცვლილებადობა 7,5-დან 4,5 მილიონ წლამდე ასახავს გეოგრაფიულ და კლიმატურ მერყეობას, რომელთაგან ყველაზე გასაოცარი ხმელთაშუა ზღვის რამდენიმეგზის სრული ამოშრობა იყო დაახლოებით 5,5 მილიონი წლის წინათ. ასევე დაუდგენელია, იყო თუ არა კავშირი ამ მოვლენებსა და ჰომინიდების ევოლუციას შორის. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ორი აღმოჩენა, რომლებმაც შეძრა ანთროპოლოგიური სამყარო და საშუალება მისცა მეცნიერებს, აღედგინათ თითქმის 4 მილიონი წლის წინათ მცხოვრები ჰომინიდების გარეგნული სახე, ნაწილობრივ — მათი ცხოვრების წესიც.

1974 წელს ეთიოპიაში მდინარე ავაშის ველზე აღმოაჩინეს ნახევრად მთელი ჩონჩხი, ეგრეთ წოდებული „ლუსი" და კიდევ სხვა მრავალი ფრაგმენტი ჰომინიდებისა. შემდგომ მათ აფარის ავსტრალოპითეკები უწოდეს. აღმონაჩენის ასაკია 3-4 მილიონი წელი. ამის შემდეგ ტანზანიაში აღმოაჩინეს ჰომინიდების განამარხებული ფრაგმენტები და, რაც ყველაზე საკვირველია, ორი ინდივიდის ნაკვალევი, აღბეჭდილი რამდენიმე ათეული მეტრის სიგრძეზე, გამაგრებულ ვულკანურ ფერფლზე, ისინი 3 მილიონ 750 ათასი წლის წინათ (ეს თარიღი ზუსტია და მრავალგზის შემოწმებული) ერთიმეორის გვერდით სრულიად „ადამიანურად" (წულში გამართული) მისეირნობდნენ. გარეგნულად ეს ჰომინიდები ძალზე პრიმიტიულად გამოიყურებოდნენ, იწონიდნენ 20-50 კილოგრამს, ამასთან მამრებწონით ორჯერ აღემატებოდნენ მდედრებს, ჰქონდათ ისეთივე ტვინის მოცულობა, როგორიც თანამედროვე დიდი ზომის აფრიკულ ანთროპოიდებს, თუმცა, სხეულის ზომის დიდ ცვალებადობასთან დაკავშირებით, მათი ტვინის შეფარდებითი ზომები სქარბობს ანთროპოიდებისას.

დაახლოებით 2,5-2 მილიონი წლის წინათ მოხდა აფრიკული ჰომინიდების ზომიერი ადაპტაციური რადიაცია. ამ პერიოდის დასასრულს აფრიკაში ჰომინიდების სხვადასხვა სახეობა ბინადრობდა. ამითგან ჩვენთან ყველაზე „ახლოს" დგას და, ამდენად ყველაზე საინტერესოა, ნაირობის (კენია) ტუზეუმის ეგრეთ წოდებული „მარჯვე ადამიანი". „მარჯვე ადამიანთან" ერთად აფრიკაში ჩნდება ქვების დიდი გროვები, „მარჯვე ადამიანმა" რამდენიმე ასეული ათასი წლის განმავლობაში იარსება. იგი დაახლოებით 1,75 მილიონი წლის წინათ გაქრა და ადგილი დაუთმო უფრო გამაძლე ჰომინიდს, მოცულობით უფრო დიდი ტვინის მქონე „ნამარხ ადამიანს" (Homo erestus) ეს არის ჰომინიდის პირველი ფართოდ გავრცელებული სახეობა, დედამიწის პირველი ამოვსებელი, რამდენადაც ამას ფაქტები მოწმობენ, იგი ყველაზე უწინ აფრიკაში გაჩნდა დაახლოებით 1,6 მილიონი წლის წინათ და 1 მილიონი წლისათვის უკვე განსახლდა მთელ ძველ სამყაროში (ევროპა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია). თავისი არსებობის ერთმილიონიანი პერიოდის განმავლობაში, დროის ამ უზარმაზარ მონაკვეთში, ამ სახის ადამიანის მორფოლოგიური აღნაგობა გასაოცარი სტაბილურობით ხასიათდება. თავისი ზომებითა და ძლერი ჩონჩხით იგი ადამიანის მოგვიანო სახეობებს მოგვაგონებს (გარდა თანამედროვე ადამიანისა).

არქეოლოგიური მონაცემები



„მარჯვე ადამიანმა" რამდენიმე ასეული ათასი წლის განმავლობაში იარსება. იგი დაახლოებით 1,75 მილიონი წლის წინათ გაქრა და ადგილი დაუთმო უფრო გამაძლე ჰომინიდს, მოცულობით უფრო დიდი ტვინის მქონე „ნამარხ ადამიანს" (Homo erestus) ეს არის ჰომინიდის პირველი ფართოდ გავრცელებული სახეობა, დედამიწის პირველი ამოვსებელი, რამდენადაც ამას ფაქტები მოწმობენ, იგი ყველაზე უწინ აფრიკაში გაჩნდა დაახლოებით 1,6 მილიონი წლის წინათ და 1 მილიონი წლისათვის უკვე განსახლდა მთელ ძველ სამყაროში (ევროპა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია). თავისი არსებობის ერთმილიონიანი პერიოდის განმავლობაში, დროის ამ უზარმაზარ მონაკვეთში, ამ სახის ადამიანის მორფოლოგიური აღნაგობა გასაოცარი სტაბილურობით ხასიათდება. თავისი ზომებითა და ძლერი ჩონჩხით იგი ადამიანის მოგვიანო სახეობებს მოგვაგონებს (გარდა თანამედროვე ადამიანისა).

არქეოლოგიური მონაცემები

ᲛᲘᲤᲘᲡᲫᲕᲔᲨᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘ

● ᲡᲐᲣᲚᲐᲕᲘᲡ ქვასთან ვილაც ქვითინებდა და განუწყვეტლივ ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებდა:

— შენ არ უნდა მომკვდარიყავი, შენ არ უნდა მომკვდარიყავი...

— ვინ განისვენებს აქ, მამაო თქვენი თუ ვაჟიშვილი?

— ჰკითხა გამვლელმა დამწუხრებულ ჭირისუფალს.

— არა, გეთაყვა, აქ ჩემი ცოლის პირველი ქმარია დასაფლავებული.

● ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ავადმყოფი შეფი მოინახულა და ანუგეშა:

— კანტორაში თქვენი სამუშაოს გამო ნუ წუხართ, მას ჩვენი კურიერი თავს ჩინებულად ართმევს.

● ᲛᲐᲗᲮᲝᲛᲐᲠᲗ ორივე ხელში თითო შლაპა — ერთი ჩვეულებრივი, მეორე მომცრო — ეჭირა და უჩვეულო სურათით გაკვირვებულ გამვლელებს უხსნიდა:

— ბატონებო, ცხოვრება გაძვირდა და ფილიალის გახსნამ მომიწია.

● — ᲜᲐᲮᲔ ის კაცი, დახრჩობას რომ გადამარჩინა?

— მკითხა ელზამ მეუღლეს.

— ᲐᲰ, ჩემთან იყო ბოდიშის მოსახდელად.

● ᲔᲠᲗ საზოგადოებაში, სადაც კარიერასა და წარმატებებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთ-ერთმა დამსწრემ დაიტრაბახა:

— როცა კარიერას ვიწყებდი, არა გამაჩნდა რა საკუთარი ჭკუის გარდა.

— ო, მართლაც ძალზე მცირე კაპიტალით დაგიწყიათ, — მიუგო გვერდით მჯდომმა.

● — ᲓᲔᲓᲘᲙᲝ, მამამ მითხრა ჩვენ მაიმუნებიდან ვართ წარმოშობილნი.

— ᲔᲠᲗ ᲒᲔᲢᲧᲕᲘ, შვილო, მამაშენი ყოველთვის უარზე იყო ჩემთვის

საქართველო

ფაქტები • მოვლენები

რესპუბლიკურ და საოლქთაშორისო უმაღლეს პარტიულ სკოლებში

მსმენელთა მორიგი მიღება

ცხადდება მსმენელთა მორიგი მიღება რესპუბლიკურ და საოლქთაშორისო უმაღლეს პარტიულ სკოლებში. მიღება იწარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის რეკომენდაციებით.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მიიღებიან სულ ცოტა სამი წლის პარტიული სტაჟის მქონე სკკპ წევრები პარტიული, საბჭოთა, კომკავშირულ და იდეოლოგიურ მუშაკთა რიგებიდან:

ორწლიან დასწრებულ და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — 40 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონენი;

ოთხწლიან დასწრებულ და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე — 35 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონენი.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებმა, მოსკოვის საქალაქო კომიტეტმა 1986 წლის 15 მარტამდე უმაღლეს პარტიულ სკოლებში იმ მუშაკებზე, რომლებსაც აძლევენ სწავლის რეკომენდაციას, უნდა წარადგინონ ამონაწერი ბიუროს დადგენილებიდან, დახასიათება და შესაბამისი დოკუმენტაცია.

1986 წლის 10 აპრილიდან 1 მაისამდე ორწლიან დასწრებულ და სამწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე რეკომენდებულნი მიწვეულნი იქნებიან უმაღლეს პარტიულ სკოლაში გასაუბრებისათვის, ოთხწლიან დასწრებულ და ხუთწლიან დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსვლელნი — ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, რუსულ ენაში (თხზულება) და სსრ კავშირის ისტორიაში (საშუალო სკოლის პროგრამით).

მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად და ჩასაბარებლად სწავლისათვის რეკომენდებულთ ეძლევათ ორი კვირის შვებულება სამუშაო ადგილზე ხელფასის შენარჩუნებით.

უმაღლეს პარტიულ სკოლებში მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

14-16 იანვარს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

განხილეს საკითხი, თუ როგორ იყენებენ სასამართლოები კანონმდებლობას, რომელიც არეგულირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვას კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებებისაგან.

პლენუმმა აღნიშნა, რომ „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 14 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად სასამართლოების მიერ იმ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება-შესრულებასთან დაკავშირებული დავის საქმეთა განხილვა, რომელთა მიხედვითაც ყიდიან პროდუქციას კოლმეურნეობები, საკოლმეურნეო და სახელმწიფო-საკოლმეურნეო ორგანიზაციები და გაერთიანებანი, ხელს უწყობს კანონიერების, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დარგში.

კერძოდ, სასამართლოებს წინადადება მიეცათ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადებისას წამოჭრილი დავის გამო საქმეთა განხილვის დროს გაითვალისწინონ, რომ კონტრაქტაციის ხელშეკრულება იდება ორივე მხარისათვის სავალდებულო საგეგმო დავალების საფუძველზე. ამიტომ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება თავი აარიდოს ხელშეკრულების დადებას.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სხვა საკითხები, მიიღო მათ გამო შესაბამისი დადგენილებანი.

(საკდესი).

გავათავისუფლოთ მსოფლიო ბირთვული იარაღისაგან

პრესკონფერენცია მოსკოვში

18 იანვარს მოსკოვში საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა პრესკონფერენცია გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებასთან დაკავშირებით. პრესკონფერენციას უძღვებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გ. მ. კორნიენკო, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი.

პრესკონფერენციის გახსნისას ლ. მ. ზამიატინმა თქვა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაში ჩამოყალიბებულია კონკრეტული და ვრცელი გეგმა იმ მიზანმიმართული მოქმედებისა, რომლის მიზანია ადამიანობისათვის ყველაზე სერიოზული საფრთხის — ბირთვული ომის საშიშროების აღმოფხვრა.

საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების ახალი ფართო მასშტაბის კომპლექსის ღირძია მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა, რომელიც უახლოესი 15 წლისთვის არის გაანგარიშებული. საბჭოთა კავშირმა წამოაყენა წინადადება განახორციელონ და დაამთავრონ მომდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღისაგან მსოფლიოს განთავისუფლების პროცესი.

საბჭოთა კავშირის მიერ შემოთავაზებული პროგრამა ითვალისწინებს ბირთვული იარაღის — როგორც მატარებლების, ისე მუხტების — ეტაპობრივ შემცირებას, ამასთან მის სრულ ლიკვიდაციას შესაბამისი საერთაშორისო კონტროლითა და დამკვრელი კოსმოსური შეიარაღების შექმნის, გამოცდისა და განლაგების აკრძალვის შესახებ მორიგების პირობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადებაში ჩამოყალიბებული კონკრეტული წინადადებანი სახავენ საერთაშორისო ასპარეზზე ძირეული გარდატეხის უზრუნველყოფის რეალურ გზას. საბჭოთა ინიციატივა განსაზღვრავს ზუსტად მოხაზულ მარშრუტებსა და ორიენტირებს, იგი გულისხმობს მორიგებათა მიღწევის, მათი რეალიზაციის კონკრეტულ ვადებს და უნარი შესწევს ამ საკითხებზე მოლაპარაკების მიანიჭოს მიზანმიმართულება და მიზანსწრაფვა.

საბჭოთა წინადადებანი ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის შესახებ ეხება უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს: სწორედ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბირთვული განიარაღების პირველ ეტაპზე მაგალითი უნდა უჩვენონ სხვა ბირთვულ სახელმწიფოებს და უკვე ამ ეტაპზე 5-8 წლის განმავლობაში ერთიორად შეამცირონ ბირთვული შეიარაღება, რომელიც ერთმანეთის ტერიტორიას აღწევს, მოსპონ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საშუალო სიშორის რაკეტები ევროპაში, რაც იქნება ბირთვული იარაღისაგან ევროპის კონტინენტის განთავისუფლების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი, შეწყვიტონ ყოველგვარი ბირთვული აფეთქება. საბჭოთა ხელმძღვანელობის ეს ინიციატივა სავსებით შეესაბამება მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის ჟენევის მორიგებას. ამავე დროს სსრ კავშირის წინადადებანი გულისხმობს, რომ ამ პროცესში მომდევნო ეტაპებზე უნდა ჩაებას ყველა სხვა ბირთვული სახელმწიფოც, რადგან საქმე ეხება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემას, რომლის გადაჭრა შეიძლება და უნდა გადაიჭრას კიდეც გაერთიანებული ძალებით.

ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის ბუნებრივი და კანონზომიერი წინამძღვარი უნდა გახდეს კოსმოსში დამკვრელი იარაღის განლაგების აკრძალვა. არ დაუშვათ, რომ გამალებული შეიარაღება ვრცელდებოდეს კოსმოსში — ნიშნავს გზა გავუკაფოთ ბირთვული შეიარაღების ღრმა შემცირებას. სწორედ მშვიდობიანი კოსმოსი და არა „ვარსკვლავეთის ომები“ არის ერთადერთი რეალური გზა იმისა, რომ ბირთვული შეიარაღება უმაქნისი გავხადოთ, რაც საშუალებას მოგვცემს მთლიანად მოვისპოთ იგი.

ბირთვული შეიარაღების შემცირებისა და ლიკვიდაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია ამ იარაღის სრულყოფის ყველა არხის ჩაკეტვა, მისი სულ უფრო დახვეწილი და მომაკვდინებელი ნაირსახეობების შექმნის შესაძლებლობათა მოსპობა. საბჭოთა კავშირმა, რომელიც საკითხისადმი ასეთი მიდგომით ხელმძღვანელობს, გამოავლინა კეთილი ნება და მიიღო გადაწყვეტილება სამი თვით გაუგრძელოს ვადა 1985 წლის აგვისტოში მის მიერ ცალმხრივი წესით გამოცხადებულ ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმს. სსრ კავშირი კვლავ მომართავს წინადადებით შეერთებულ შტატებს შეუერთდეს საბჭოთა კავშირის ამ უმნიშვნელოვანეს კონსტრუქციულ ნაბიჯს.

ბირთვული განიარაღების პროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე აიკრძალოს ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დაფუძნებული უბირთვო შეიარაღების შექმნა, რომელიც თავისი დამზიანებელი უნარით უახლოვდება მასობრივი მოსპობის საშუალებებს.

საბჭოთა კავშირი წინადადებას აყენებს სახელმწიფოთა არსენალებიდან უკვე უახლოეს წლებში ამოიღონ ქიმიური იარაღი. იგი მხარს უჭერს ამ იარაღის მარაგის მოსპობას და თვით მისი დამამზადებელი სამრეწველო ბაზის უსწრაფეს ლიკვიდაციას მკაცრი კონტროლით, მათ შორის ადგილებზე საერთაშორისო შემოწმებით.

მ. ს. გორბაჩოვის განცხადებას ფართოდ დაუჭირა მხარი მსოფლიო საზოგადოებრიობამ. მას მნიშვნელოვანი ინტერესით მოეკიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური წრეები და სახელმწიფო მოღვაწენი.

აქტიურად და მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოზიციას საბჭოთა ადამიანები. მ. ს. გორბაჩოვის განცხადება აქტიურები და მასშტაბური დოკუმენტია. იგი მოწმობს, რომ მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი არ დაუშვას ბირთვული ომი, შეეძლო შეემუშავებინა და წამოეყენებინა ასეთი შორს გამიზნული წინადადებანი ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის შესახებ.

საბჭოთა კავშირში იმედი აქვთ, რომ ახალ შორს გამიზნულ საბჭოთა ინიციატივებს ღირსეულად დაეფასებენ სახელგარეთი, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებში. დასავლეთის პოზიციური პასუხი საბჭოთა წინადადებებზე საშიალებას მოგვცემს, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი წერტილიდან დავძრათ ჩვენი დროის უმწვავესი და გადაუდებელი პრობლემის — ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, ადამიანთა მასობრივი მოსპობის მომაკვდინებელი იარაღის წარმოება-დაგროვების შეზღუდვისა და შეწყვეტის პრობლემის გადაჭრის პროცესი.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა პასუხი გასცეს ჟურნალისტთა კითხვებს.

პრობლემები, რომლებიც კაცობრიობას აღელვებს

მშვიდობიანი მომავლისათვის მებრძოლ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესზე

ვარშავა. **პოლონეთის დედაქალაქში მიმდინარეობს პლენტის მშვიდობიანი მომავლისათვის მებრძოლ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესი, რომლის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, მთელ კაცობრიობას რომ აღელვებს. კონგრესის მონაწილენი განიხილავენ „განიარაღების, კოსმოსის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხებს, ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის პერსპექტივებს. ეს ფორუმი მშვიდობის საერთაშორისო წლის ერთი პირველი ღონისძიებათაგანია.**

კონგრესზე გამოსვლისას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მარშალმა რ. მალინოვსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრამ პირობები შეუქმნა საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას. დღეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ვიხსნათ კაცობრიობა ბირთვული კატასტროფისაგან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება შეიცავს კონსტრუქციულ წინადადებებს განიარაღების, კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფის შესახებ. პოლონეთი, განაცხადა ორატორმა, მთლიანად უჭერს მხარს ამ ინიციატივებს და ყოველნაირად შეუწყობს ხელს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, დედამიწაზე გამალებული შეიარაღების შეწყვეტას და კოსმოსში მის თავიდან აცილებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა რ. ჩანდრამ-ახალ საბჭოთა წინადადებებს უწოდა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელთა მიზანია ბირთვული იარაღის საყოველთაო ლიკვიდაცია 2000 წლისათვის. ახლა საკანონმდებლო ბაზაა ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტა. საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ ვადა გაუგრძელა ამ იარაღის გამოცდის მარატორიუმს. ასეთი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ სხვა ბირთვულმა სახელმწიფოებმაც, აღნიშნა რ. ჩანდრამ.

პაგუოშის მოძრაობის პრეზიდენტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა დ. ხოჯკინმა უკანასკნელი საბჭოთა წინადადებების თაობაზე თქვა, რომ ისინი. გამოხატავენ მსოფლიოს ხალხთა საერთო მისწრაფებას — იცხოვრონ. მშვიდობის პირობებში.

ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. ბალევსკიმ აღნიშნა, რომ მშვიდობას საფრთხე უქმნის განუწყვეტელი გამალებული შეიარაღება, „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამა, მასობრივი მოსპობის ახალ საშუალებათა წარმოება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცნიერებს საგანგებო როლი ეკისრებათ მშვიდობის მებრძოლთა თანამედროვე მოძრაობაში და პასუხს აგებენ პლანეტის სვე-ბედისათვის.

კონგრესზე გამოსვლისას სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ტ. ნ. ხრენიკოვმა თქვა: ყველას კარგად გვესმის, რომ დღეს მშვიდობის ბედი მარტოოდენ პოლიტიკოსებსა და სამხედროებზე არ არის დამოკიდებული.

აშშ

კვლავ ძველ პოზიციებზე

პენტაგონის შეფის განცხადება პრესკონფერენციაზე

ვაშინგტონი. **ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა კვლავ დაადასტურა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ აპირებს გადაუხვიოს კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმებს.** აქ გამართულ პრესკონფერენციაზე მას სთხოვეს განემარტა ახალი საბჭოთა სამშვიდობო წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ, კერძოდ, რომ სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვან დამკვრელ კოსმოსურ შეიარაღებაზე. პენტაგონის შეფმა განაცხადა, რომ „პრიორიტეტი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ანიჭებს სტრატეგიულ თავდაცვითს ინიციატივას, კარგად არის ცნობილი და მთლიანად რჩება ძალაში“. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების მეთაურმა თქვა, რომ ამერიკამ უნდა განაგრძოს ბირთვული გამოცდა, რაც, როგორც ცნობილია, ვაშინგტონს სჭირდება უახლესს სახეობათა კოსმოსური იარაღის შესაქმნელად, ამასთან დასძინა, რომ დასახული გეგმის მიხედვით ასეთი გამოცდის მოწყობა „დიდმნიშვნელოვნად“ მიაჩნია.

ამერიკის კონგრესში „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის აპოლოგეტები ცდილობენ დაჩქარონ სამუშაოები, რათა შეიქმნას კოსმოსური ბაზირების ელემენტებით აღჭურვილი ფართო მასშტაბის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა.

ბათუმი. პარკი

ბათუმი. ბოტანიკური ბაღი და მოსაზღვარეთა პარკი ბათუმი. ქალაქის მოსაზღვრეთა ადგილ-ადგილებს, ტყეებს, ბაღებს, ეკალეტებთა საკუნოვანი ხეები ამშვიდებენ და მხნეობას მატებენ ადამიანს. დაცურავენ იალქნიანი ნავები, ხიდურზე კი ავიაგამანადგურებელი თვლემს, დიდ სამამულო ომში რომ იცავდა სამშობლოს ცას. პარკი თავისებური მემატიანეცაა — იგი მოგვითხრობს საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯიგნჯარაძის, „ახალგაზრდა გვარდიის“, ზოია კოსმოდემიანსკაიასა თუ სხვა სახელოვან ჭაბუკთა და ქალაშვილთა საგმირო საქმეებზე. აქ, ამ „მწვანე თეატრის“ სცენაზე დაფრთიანდნენ უკვე ცნობილი მსახიობები თუ ქორეოგრაფები.

ახლახან უჩვეულო ხალხმრავლობა იყო აქ: აჭარის მოსწავლეები, ხნიერები და კომკავშირელები „დაბადების დღეს“ უხდიდნენ პარკს — მისი დაარსების 50 წლის იუბილეს ზეიმობდნენ.

მოსწავლეებმა ჯერ ყვავილებით შეამკეს დიდი ბელადის ძეგლი, შემდეგ „მწვანე თეატრის“ სცენაზე თავიანთი ხელოვნება წარმოუდგინეს სტუმრებს.

მთელ დღეს გრძელდებოდა ზეიმი, ისმოდა ხალისიანი სიმღერები, ღიმით კი ტბაზე პიონერული კოცონები აგიზგიზდა.

მ. გორგილაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ყაბახი სპორტის აკადემიის ლაურეატი

პარიზიდან მოვიდა ცნობა, რომ დონეცკელი სპორტსმენი, ჭოკით ხტომაში მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი სერგი ბუბკა საფრანგეთის სპორტის აკადემიის ლაურეატი გახდა. ეს მოხდა მაშინ, როცა აკადემიის გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა, რომ შარშანდელ სეზონში ყველაზე დიდი წარმატების მოპოვებისათვის ბუბკას მიენიჭოს აკადემიის „გრან-პრი—85“.

საბურნირო ორბიტა

ფეხბურთი. დელში დაწყებულ ჯ. ნერუს ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშების პირველ ტურში საბჭოთა კლუბების ნაკრებმა მოუგო შეხვედრა ინდოეთის ეროვნულ ნაკრებს ანგარიშით 6:0.

ეშერაში დამთავრდა ვ. მარღანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული შეჯიბრება ფეხბურთში. ჩინეთულად იასპარეზა აფხაზეთის ნაკრებმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

ქუთაისის „ტორპედომ“, რომელიც აფხაზეთში ეთამაშება საკავშირო ჩემპიონატისათვის, საკონტროლო-საწვრთნელი შეხვედრა გამართა მოსკოვის „დინამოსთან“. გაიმარჯვა „ტორპედომ“ ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა კორღალიძემ.

კალათბურთი. ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პროგრამით გთვალისწინებული განმეორებითი მატჩი თელ-ავივის „მაკაბისთან“ კაუნასის „ჟალგირისმა“ ბრიუსელში გამართა. ამჯერად კაუნასელები დამარცხდნენ — 86:88. მიუხედავად ამისა, შეჯიბრებას ლიდერობს „ჟალგირისი“, რომელსაც ახლა 9 ქულა აქვს (4 გამარჯვება). გთავაზობთ სხვა მატჩების შედეგებსაც: მადრიდის „რეალი“- ზაგრების „ციბონა“ — 91:108, მილანის „სიმაკი“-საფრანგეთის „ლიმოჟი“ — 83:77. „ციბონას“ 7 ქულა აქვს (3 გამარჯვება) და მეორე ადგილზეა.

ხელგურთი. დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გრძელდება ვაჟთა გუნდების ტრადიციული შეჯიბრება „ბალტიკის თასზე“. სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე ტურში წაგო შეხვედრა დანიის გუნდთან — 22:24, მესამეში კი მოუგო ისლანდიელ ხელბურთელებს — 27:12.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ბოლოვი

19 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 10.20 — „სპორტლოტო“. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კიოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — „ერალაში“. 15.10 — ა. გაიდარის გმირები ეკრანზე. მხატვრული ტელეფილმი „ბუმბერაზი“ I და II სერია. 17.25 — ა. ჩაიკოვსკი. „მანფრედი“. სიმფონია 4 სურათად. 18.35 — მულტფილმები. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — კონცერტი. 20.25 — მხატვრული ფილმი „პირველი გათხოვება“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — კინოპროგრამა იგორ ილინსკის მონაწილეობით. 23.55 — სპორტი გასულ კვირაში. 0.25 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის გარჯიში. 9.15 — მხატვრული ფილმი „სილარიბის მოწმობა“. 10.20 — ანსამბლ „ჰორიზონტის“ კონცერტი. 10.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „ელეგია“. 11.00 — ფილმ-კონცერტი. 11.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 12.00 — რუსული მეტყველება. 12.30 — „და ეს ყველაფერი მის შესახებ“. IV სერია. 13.35 — გვიამბობენ ჩვენი კოლეგა-სპონდენტები. 14.05 — მსოფლიო მუსიკალური კულტურის საგანძური. დ. სკარლატი. 15.00 — ბურთიანი ჰოკეი. 15.45 — ფილმ-ბალეტი „დუბროვსკი“. 17.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 17.20 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 17.45 — შეხვედრა მწერალ ა. სოფრონოვთან. 19.45 — აშკარა — დაუჯერებელი. 20.45 — ხალხური მელოდიები. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 21.25 მაგიდის ჩოგბურთი. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — ასე იბადება მუსიკა.

20 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — სპორტი გასულ კვირაში. 10.10 — მხატვრული ტელეფილმები „შახტის მკვლელობის გეგმა“ და „ბორკილი მკვლელისათვის“. სერიიდან „ფრონტი დაუნდობელია“. 12.05 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — მეცნიერებისა და შრომის კავშირი. 16.30 — გამოგვეხმაურეთ, მებუკენო! 17.05 — კონცერტი. 17.30 — მხატვრული ფილმი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“. 18.50 — კონცერტი. 19.15 — „დაჩქარება“. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 სკკპ XXVII ყრილობის შესახებ ვედრად. საქართველოს ტელევიზიის პროგრამა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პოლიტიკური თეატრი. დ. ალი — „...სიმართლე, არაფერი სიმართლის გარდა“. ფილმ-სპექტაკლი. 23.55 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.55— სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 — რუსული მეტყველება. 10.55 და 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 12.10 — საჭადრაკო სკოლა. 13.00 — შენი ლენინური ბიბლიოთეკა: მილეონთა მემკვიდრეობა. 15.30 — — როცა „ბელკინის მოთხრობებს“ ეკითხულობთ... 19.15 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს. 20.15 — საერთაშორისო პანორამა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — „მუშაობა ვცნოთ არადამაკმაყოფილებლად“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ხსოვნა“. I სერია. 24.00 კონცერტი.

ოთხშაბათი

19 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ბავშვების სიხარული“. 10.30 — მაღვიძარა (მ). 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — დილის ფოსტა (მ). 12.30 — საკვირაო გამოფენა. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05 მულტპანორამა. 14.05 — საკვირაო გამოფენა. 14.10 — გასართობი პროგრამა. 14.45 — სპორტული კალეიდოსკოპი. 15.25 — „ვესტნიკი“. 15.55 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა — მხატვრული ფილმი „პარკი“. 17.20 — საკვირაო გამოფენა. 17.25 — თბილისი და თბილისელები — სატელევიზიო ჟურნალი. 18.00 — — ფიზიკური სრულყოფისათვის. 18.25 — აქტუალური ეკრანი. 18.45 — საკვირაო გამოფენა. 18.50 — „რწმენას გაუმარჯოს, რწმენას!“ — სტუდიაშია პოეტი ნოდარ ჯალაღონია. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — „მოამბე. 20.45 — სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახებ ვედრად — „დიალოგი ყრილობის დელეგატთან“. 21.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ეროსი მანჯგალაძე“. 21.20 — სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახებ ვედრად. სტუდია „დიალოგი“ — „პოლიტიკური წრთობის სიმტკიცე“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — „ბიჭვინთა-85. 23.55 — სპორტული კვირეული (მ).

20 იანვარი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — მხატვრული ფილმი „წყალში ფონს გასცილისას ცხენებს არავინ ცვლის“. I სერია. 11.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შოპენი — სონატა ნომერი ორი“ 11.35 — „პანტომიმის თეატრი მოსკოვში“ (განმეორებით). 12.25 — მოსწავლეთათვის — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 12.55 — საბჭოური ცხოვრების წესი — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფანჯარა“. 13.05 — მასწავლებლის საათი — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 13.35 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება რუსულ ენაზე. 16.15 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა. 16.45 — ბავშვებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი „ფრთხილად, მაიმუნებია!“. 16.55 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია. 17.25 — მოსწავლეთათვის — „ჩემი კომკავშირი“. 17.45 — ინტერვიუ მინისტრთან — სტუდიაშია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გ. ლეკვეიშა. 18.15 — ახალგაზრდობისათვის — მელერის ანსამბლი „ელადა“. 18.45 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.15 სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის შესახებ ვედრად — „დიალოგი ყრილობის დელეგატთან“. 19.30 — მოამბე. 20.00 — სკკპ XXVII ყრილობის შესახებ ვედრად—საქართველოს ტელევიზიის პროგრამა (მ). 22.00 —„ვრემია“. 22.40 — ჩვენი პრემიერა. ა. ჩხაიძე — „სიტყვა ეძლევა ყველას“. (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). 23.45 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.45 — დოკუმენტური ფილმი „რევოლუცია უფლებას გვაძლევს“. 17.40 — მხატვრული ფილმი „კონკია“.

თეატრი

19 იანვარი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ლუარსა ურჩხული** (დღისით); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ძველი სახლი** (დღისით), **ფეთაბერვილი კომედია** (საღამოს); თბილისის სახელმწიფო დრამატული — **ოთხმ გურჯი** (დღისით მე-5 აბონ. მე-2 წარმოდგენა); მინიატიურების სახელმწიფო — **პაემანი ხეზე** ან **ბესიერონის თავგადასავალი**; მოზარდ მაყურებელთა ქართული — **მეფეულის ბედი** (აბონ. № 28 7 ს. გამოცდა (აბონ. № 42 7 ს.).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05524 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრომის ყოთელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14

უფიშროების საბჭოში

თეთრი სახლი კალთას აფარებს აგრესორს

ნიუ-იორკი. **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი შეუშალა უშიშროების საბჭოს მიეღო რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ისრაელის ჯარების დაუყოვნებლივ და უპირობო გაყვანას ლიბანის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებს გარეთ, ლიბანის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას.** შეერთებული შტატები ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა, ხმა რომ მისცა დოკუმენტის წინააღმდეგ, რომელშიც აგრეთვე გამოთქმული იყო უუხეო სამხრეთ ლიბანში ისრაელის ძალმომრეობითი აქტების, სამოქალაქო მოსახლეობისადმი სასტიკი მოპყრობის გმრ. ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა ისრაელი აგრესორებისა და ექსპანსიონისტებისადმი აშკარა მხარდაჭერას, ხაზგასმით აღნშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლიბანის მუდმივმა წარმომადგენელმა რაშიდ ფაჰურიმ.

ფაქტის კომენტარი

განხეთქილება კონსერვატორთა განაკში

ინგლისში პოლიტიკური კრიზისია. ამასთან, კონსერვატორებთან ყველაზე უფრო დაახლოებული გაზეთების აზრითაც კი, — „ყველაზე უფრო სერიოზული კრიზისი ხელისუფლების სათავეში ტეტჩერის კაბინეტის ყოფნის ექვსი წლის მანძილზე“. რომ იტყვიან, „კარი გაიჯახუნა“ და ისე გადადგა ერთ-ერთი საკვანძო სამინისტროს ხელმძღვანელი. სათუოა კიდევ სხვა მინისტრის პოლიტიკური ბედი. კონსერვატორთა ბანაკში განხეთქილება ჩამოვარდა. პარტია დაბნეულობამ მოიცვა. მისი ერთი ნაწილი მეორის წინააღმდეგ დაირაზმა.

მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდა თავდაცვის მინისტრი მაიკლ ჰეზლტაინი. მან ეს ნაბიჯი გადადგა მას შემდეგ, რაც მწვავე უთანხმოება მოუვიდა კაბინეტის სხვა წევრებთან და, უ